



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 137

2015 წლის 24 10/10/2015

ქ. თბილისი

“2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ” სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2015 წლის 16 სექტემბრის №132 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება “2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ” სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) გენერალური დირექტორის 2015 წლის 16 სექტემბრის №132 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული 2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის პროგრამა და პირობების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და პროექტის პერსონალის (ტექნიკური პერსონალის გარდა) ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების დასკანერებული ასლები, თანამიმდევრულად ერთ PDF ფაილში გაერთიანებული.

ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტის წარმოდგენის უცხოებულება ეხსნებათ პროექტის პერსონალ უცხოელ მოქალაქეებს თუ მათ ვალდებულება ეხსნებათ პროექტის პერსონალ უცხოელ მოქალაქეებს თუ მათ შესახებ „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია იძებნება მის მიერ

მითითებული ორგანიზაციის (უნივერსიტეტის/ინსტიტუტის და ა.შ.)
ოფიციალურ ვებგვერდზე.

- ა) პირადობის მოწმობა;
- ბ) დეტალური პროფესიული ბიოგრაფია (CV) პუბლიკაციების სიითა და
სამეცნიერო-კვლევით პროექტებში (გრანტებში) მონაწილეობის მითითებით.
უცხოელი მონაწილეების ბიოგრაფია შეგიძლიათ წარმოადგინოთ ინგლისურ
ენაზე;
- გ) შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი. უცხოეთის
ინსტიტუტის მიერ გაცემულ დოკუმენტს თან უნდა ერთოდეს „ცნობა უცხოეთში
მიღებული განათლების აღიარების შესახებ“ გაცემული სსიპ - განათლების
ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.“;
2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს აღნიშნული
ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსებბა
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:
დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მარინე ჩიტაშვილი

